საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2021 წლის 16 ივლისი**

დისციპლინური საქმე №30/20
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2020 წლის 5 მარტის №30 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 19 ივნისის №30/20 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2021 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

1.1. მოსამართლემ 2019 წლის 25 ოქტომბერს დანიშნული მოსამზადებელი სხდომა გადადო იმ მიზეზით, რომ მოსამართლეს ამ დროს ჩანიშნული ჰქონდა სხვა სასამართლო სხდომა. სხდომა დანიშნა 2019 წლის 19 დეკემბერს 16:00 საათზე. სხდომაზე მხარეებისთვის ცნობილი გახდა, რომ მოსამართლეს 16:00 საათზე დანიშნული ჰქონდა სხვა სხდომა, რის გამოც სხდომა დაიწყო დაგვიანებით. მოსამართლემ სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების სხდომაც დაგვიანებით დაიწყო. საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლეს არ შესწევს უნარი სწორად დაგეგმოს სასამართლოს სხდომების განრიგი.

1.2. მოსამართლემ საქმის განხილვა პირდაპირ მთავარი სხდომით დაიწყო. მთავარ სხდომაზე არ გააკეთა მოხსენება იმ საქმესთან დაკავშირებით, რომელსაც განიხილავდა, აღნიშნულით დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 217-ე მუხლის პირველი ნაწილი. ამასთან, დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 225-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნები, რადგან მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შემდეგ არ შეამოწმა სადავო მტკიცებულებები და პირდაპირ შეკითხვების ეტაპზე გადავიდა.

1.3. მოსამართლემ სხდომის ოქმი არ შეადგინა კანონით დადგენილი წესით. კერძოდ, 2019 წლის 19 დეკემბრის სხდომის ოქმში არ ასახა იმ დისკის ნომერი, რომელზეც ახდენდა სხდომის ჩაწერას. ამასთან, სხდომის ოქმში არ ასახა განჩინებები, რომლებიც სათათბირო ოთახში გაუსვლელად მიიღო. მოსამართლემ საოქმო განჩინების ნაცვლად სხდომის ოქმში გააკეთა აღნიშვნა შენიშვნის სახით, რასაც საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. შესაბამისად, შენიშვნის გასაჩივრების ან დასაბუთების

წესი არ არის სხდომის ოქმში მითითებული. სხდომის ოქმში არ ასახა -- -- შუამდგომლობები. ასევე, 2020 წლის 15 იანვრის სხდომის ოქმის აუდიო ჩაწერა არ განახორციელა, ხოლო მატერიალურად შექმნილ ოქმში არ ასახა ის განმარტებები, რომლებიც მოსამართლემ სხდომაზე გააკეთა. პასუხისმგებლობის თავიდან არიდების მიზნით ოქმს ხელი არ მოაწერა. მოსამართლემ საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ შენიშვნაში არ აღნიშნა შესაბამისი მოტივები, გასაჩივრების ვადა და წესი. საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლემ შესაგებელი -- -- წარმომადგენლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე ჩაიბარა. -- -- მერიის შესაგებელი სასამართლოში წარადგინა -- --, რომელსაც წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი არ წარუდგენია სასამართლოში შესაგებლის წარდგენის დროისათვის. სხდომაზე გამოცხადდა ვინმე -- --, რომელმაც სხდომაზე წარადგინა წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი ბეჭდის გარეშე დაუმოწმებელი. აღნიშნულის მიუხედავად მოსამართლემ სხდომაზე დაუშვა -- --. მაშინ როცა საჩივრის ავტორს წერილობითი ახსნა-განმარტების ყველა გვერდზე სთხოვა მხარეს ხელის მოწერა.

1.4. მოსამართლემ დაარღვია მხარეთა თანასწორობის პრინციპი. იჩენდა აშკარა მიკერძოებას მოპასუხის სასარგებლოდ. სხდომაზე განაცხადა „იცით რატომ დატოვა განუხილველად? არა არ იცით! იმიტომ, რომ სასამართლომ რომ გაგიბათილათ ის აქტი, რასაც მერიაში ასაჩივრებდით.“ აღნიშნული ფრაზით, მოსამართლე მხარეთა ქმედებების შეფასებებით იყო დაკავებული ვიდრე საქმის გამოკვლევით. მიკერძოება გამოვლინდა იმაშიც, რომ -- -- წარმომადგენლის ნაცვლად თავად სვამდა მოსამართლე შეკითხვებს. ზოგ კითხვას თვითონ პასუხობდა არ აცდიდა მხარეს პასუხის მოსმენის საშუალებას და სხვა კითხვის დასმას ითხოვდა. მოსამართლემ -- -- არ მისცა შესაძლებლობა დაეფიქსირებინა თავისი მოსაზრება საქმის წარმოების შეწყვეტასთან დაკავშირებით. მაშინ როდესაც, საკუთარი მოსაზრების დაფიქსირების შესაძლებლობა მისცა -- -- და -- --. აღნიშნულით მოსამართლემ გამოავლინა არაობიექტურობა და დისკრიმინაციული დამოკიდებულება.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2019 წლის 27 ივნისს -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა -- -- და -- -- მოპასუხე -- -- მუნიციპალიტეტის მერიის მიმართა -- მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 20 მაისის ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე -- -- 2019 წლის 1 ივლისის განჩინებით სარჩელი მიღებულ იქნა წარმოებაში; საქმეზე მოსამზადებელი სხდომა დაინიშნა 2019 წლის 25 ოქტომბერს.

2019 წლის 18 სექტემბერს მოსამართლე -- -- -- სააპელაციო სასამართლოში გამწესების გამო საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

დადგენილია, რომ მოპასუხის წარმომადგენელმა მინდობილობა წარადგინა სასამართლოს სხდომაზე 2019 წლის 19 დეკემბერს.

-- -- სასამართლოში სასამართლო სხდომა ჩატარდა 2019 წლის 19 დეკემბერს, ხოლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი გამოცხადდა 2020 წლის 15 იანვარს.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის -- -- 2020 წლის 15 იანვრის გადაწყვეტილებით -- -- და -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება 2020 წლის 24 თებერვალს სააპელაციო წესით გაასაჩივრეს -- -- და -- --.

-- სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 6 მარტის განჩინებით -- -- და -- -- სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 19 ივნისის დასკვნა:

-- -- 2020 წლის 5 მარტის №30 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, კერძოდ, უნდა შეფასდეს შეიცავს თუ არა გადაცდომის ნიშნებს განსახილველ საქმეზე საჩივრის ავტორის მიერ დასახელებული საკითხები.

დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

4.1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს მოსამართლის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება პირადი ინტერესის, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით, ხოლო „ვ.ა“ ქვეპუნქტით, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.“

იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ნიშნებს აუცილებელია შესწავლილ იქნეს საჩივარში მითითებული გარემოებები.

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოსამართლეს არ შესწევს უნარი სწორად დაგეგმოს სასამართლოს სხდომების განრიგი. აღნიშნულთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რომ საჩივარი წარმოდგენილია მოსამართლე -- -- მიმართ, რომელსაც საქმე განსახილველად გადაეცა 2019 წლის 18 სექტემბერს, ხოლო 25 ოქტომბერს მოსამზადებელი სხდომა დანიშნული იყო მოსამართლე -- -- მიერ. სასამართლოს გადატვირთული გრაფიკიდან გამომდინარე სხდომებს მოსამართლეები წინსწრებით ნიშნავენ. შესაბამისად, სხვა მოსამართლის მიერ დანიშნულ სხდომის დღეს შესაძლებელია მოსამართლეს არ ჰქონდა გრაფიკით თავისუფალი დღე რა მიზეზითაც საქმის განხილვა გადაიდო 19 დეკემბრისათვის. რაც შეეხება 19 დეკემბრის სხდომის 17 წუთით დაგვიანებით დაწყებას, აღნიშნულს საპროცესო ვადის არსებითი დარღვევა, ისევე როგორც მხარეთა ინტერესებისათვის არსებითი ხასიათის ზიანი არ მიუყენებია.

4.2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ არსებობს სასამართლოს მთავარი სხდომის გამართვის წინაპირობები, მოსამართლე უფლებამოსილია მოსამზადებელი სხდომა გადაზარდოს მთავარ სხდომაში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსამართლე მხარეთა წერილობითი მასალების მიღებიდან 5 დღის განმავლობაში ნიშნავს სასამართლოს მთავარ სხდომას საქმის არსებითი განხილვისათვის, რის შესახებაც განჩინების მიღებიდან 3 დღის ვადაში ეცნობებათ მხარეებს. საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვის

დღეს მოსამართლე ნიშნავს იმ ვარაუდით, რომ მხარეებს შესაძლებლობა ჰქონდეთ, მოემზადონ ზეპირი შეჯიბრებისათვის.

დადგენილია, რომ სასამართლოს მთავარი სხდომა გაიმართა 2019 წლის 19 დეკემბერს. სხდომა დაიწყო 16:17 საათზე. მოსამართლემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა, სხდომის მდივანმა სასამართლოს მოახსენა სხდომაზე გამოცხადებულ პირთა შესახებ. აღნიშნულის შემდეგ მოსამართლემ აცილების უფლება განუმარტა მხარეებს და შუამდგომლობების ეტაპზე გადავიდა. მოსარჩელე მხარის მიერ წარდგენილი შუამდგომლობის შემდეგ მოსამართლე -- -- მხარეებს მოახსენა, რომ მათთვის ცნობილი იყო საქმის გარემოებები და დეტალებზე აღარ შეჩერდებოდა, რადგან საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ შუამდგომლობის განხილვის ეტაპზე ისაუბრეს (16:29:56) და მხარეებს ახსნა-განმარტებების ეტაპზე გადასვლა შესთავაზა, რაზეც მხარეებს უკმაყოფილება არ გამოუხატავთ. პირველი ახსნა-განმარტება კანონით დადგენილი წესით წარადგინა მოსარჩელე -- --, შემდეგ -- -- დაეთანხმა -- -- მიერ წარდგენილ ახსნა-განმარტებას, აღნიშნულის შემდეგ მოპასუხემ წარადგინა ახსნა-განმარტება. ახსნა-განმარტებების ეტაპის დასრულების შემდეგ სასამართლო გადავიდა შეკითხვების ეტაპზე.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 225-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეთა და მესამე პირთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შემდეგ სასამართლო უფლებამოსილია, მხარის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით განიხილოს და შეამოწმოს სადავო მტკიცებულებები. წერილობითი მტკიცებულების განხილვა და შემოწმება არ გულისხმობს მისი შინაარსის სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნებასა და წაკითხვას. მტკიცებულებათა განხილვისა და შემოწმების პროცესში სასამართლო მიმართავს მხარეებს, წარმოადგინონ საკუთარი მოსაზრებები სადავო მტკიცებულების ან მასში მითითებული ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმისათვის. სასამართლო, ამ კოდექსის 104-ე მუხლის შესაბამისად, საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს და საქმეში წარმოდგენილ იმ დოკუმენტებს, რომლებსაც საქმისათვის არა აქვს მნიშვნელობა.

მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შემდეგ მოსარჩელეს ან მოპასუხეს მტკიცებულებათა გამოკვლევის თაობაზე შუამდგომლობით სასამართლოსთვის არ მიუმართავთ.

4.3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ განჩინება მიღებულია სათათბირო ოთახში გაუსვლელად, ის შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია ოქმის შედგენისათვის გამოიყენოს მაგნიტოფონი, კომპიუტერი ან სხვა ტექნიკური საშუალება, რომელთა მეშვეობით ჩანაწერებიც ოქმს თან ერთვის. მოსამართლის მოთხოვნის შემთხვევაში სასამართლო სხდომის მდივანი უზრუნველყოფს ტექნიკური ჩანაწერის ან მისი ნაწილის გაშიფვრას.

სხდომის აუდიო ოქმების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მოსამართლემ მიღებული განჩინება გამოაცხადა 16:29:56 საათზე. სასამართლოს სხდომის ოქმი წარმოდგენილია ხარვეზის გარეშე. შესაბამისად, მხარეთა შუამდგომლობები ისმინება გარკვევით.

რაც შეეხება 15 იანვრის სხდომას. აღნიშნულ სხდომაზე მოსამართლემ გამოაცხადა სარეზოლუციო ნაწილი. მართალია სხდომის ჩაწერა არ მომხდარა ელექტრონული დისკის საშუალებით, თუმცა ოქმი შედგენილია ნაბეჭდი სახით, რაც შეესაბამება საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. აქვე აღსანიშნავია, რომ საოქმო განჩინება არ შეიცავს გასაჩივრების წესზე მითითებას.

ამასთან, საჩივრის ავტორი უთითებს, რომ 19 დეკემბრის სხდომის ოქმში მოსამართლემ არ ასახა იმ დისკის ნომერი, რომელზეც ახდენდა სხდომის ჩაწერას.

აღსანიშნავია, რომ მოპასუხემ შესაგებელი წარადგინა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე, თუმცა წარმომადგენლობის დამადასტურებელი უფლებამოსილება მხარემ სასამართლოს სხდომაზე წარადგინა, რითაც დაადასტურა მისი უფლებამოსილება მიეღო მონაწილეობა სასამართლოს განხილვაში.

მნიშვნელოვანია, რომ ზემოაღნიშნული გარემოებები ფორმალურად მართალია შესაძლოა არ შეესაბამებოდნენ საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს, თუმცა თავისი არსით არ წარმოადგენენ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ დისციპლინური გადაცდომებს და არ შეესაბამებიან ზემოაღნიშნული ორგანული კანონით გათვალისწინებულ რომელიმე კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახეს.

4.4. რაც შეეხება, საჩივრის ავტორის მითითებას იმის თაობაზე, რომ მოსამართლემ დაარღვია მხარეთა თანასწორობის პრინციპი და იჩენდა აშკარა მიკერძოებას მოპასუხის სასარგებლოდ, აღნიშნულთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რომ საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, მოსამართლემ უნდა დაიცვას მხარეთა თანასწორობის პრინციპი, ხოლო მოსამართლის მიუკერძოებლობა არა მხოლოდ ქვეყნის შიდა კანონმდებლობით, არამედ საერთაშორისო სამართლებრივი აქტებითაცაა გარანტირებული.

ამდენად, მოცემულ საკითხზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია განისაზღვროს შეიცავს თუ არა მოსამართლის ქმედება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს

ამ მიმართებით მნიშვნელოვანია, ბანგალორის პრინციპების კომენტარების თანახმად, ინტერესთა კონფლიქტის პოტენციური შესაძლებლობა წარმოიშობა, როცა მოსამართლის (ან მისი ახლობლების) პირადი ინტერესები ეწინააღმდეგება მის მოვალეობას, მიუკერძოებლად განიხილოს სასამართლო საქმეები.[1]

იმისათვის, რომ მოსამართლის ქმედება მიჩნეულ იქნეს პირადი ინტერესით, პოლიტიკური ან სოციალური ზეგავლენით განხორციელებულად, მოსამართლემ უფლებამოსილება ბოროტად უნდა გამოიყენოს ან/და ის უნდა მოქმედებდეს არაკეთილსინდისიერად, მიკერძოებულად, მას უნდა გააჩნდეს რაიმე პირადი ინტერესი ან უნდა მიიღოს სარგებელი კონკრეტული საქმიდან. თუ მოსამართლე დაუშვებს შეცდომას, მაგრამ დადგინდება, რომ იგი უფლებამოსილებას ახორციელებდა შინაგანი რწმენისა და კეთილსინდისიერების საფუძველზე, მიიჩნევდა, რომ მოქმედებდა მართლზომიერად და არ გააჩნდა პირადი ინტერესი, მაშინ აღნიშნული საფუძვლით მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემა დაუშვებელია.[2]

ბანგალორის მეორე ღირებულების პრინციპს წარმოადგენს მიუკერძოებლობა, რომლის თანახმადაც, მოსამართლის მიუკერძოებლობა მის მიერ თავისი მოვალეობების ჯეროვნად შესრულების აუცილებელი პირობაა. ის ვრცელდება არა მხოლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების შინაარსზე, არამედ იმ პროცესზეც, რომელიც წინ უძღვის გადაწყვეტილების მიღებას.

ბანგალორის პრინციპების 2.1 მუხლის თანახმად მოსამართლემ უნდა განახორციელოს მისი სამოსამართლო ვალდებულებანი ფავორიტიზმის, მიკერძოების ან წინასწარი განწყობის გარეშე; ხოლო 2.2 მუხლის თანახმად მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს რომ მისი ქცევა როგორც სასამართლოში, ასევე მის გარეთ იცავდეს და ამაღლებდეს მოსამართლისა და სასამართლოს მიუკერძოებლობის მიმართ ნდობას, როგორც საზოგადოების, ასევე იურიდიული პროფესიების და მხარეების მხრიდან.

---

[1] ,,მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები“ და კომენტარები, თბილისი 2015, გვ. 99

[2] მოსამართლეთა პასუხისმგებლობის სისტემის ანალიზი, თბილისი 2014, გვ. 24
http://coalition.ge/files/analysis_of_the_judicial_liability_system_ge.pdf

ასევე, მეტად საინტერესოა ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის №3 დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ სამოსამართლო დავების გადაწყვეტის არსებული მეთოდები ყოველთვის ნდობას უნდა იმსახურებდეს. უფლებამოსილებანი, რომლებითაც მოსამართლეები არიან აღჭურვილნი, უშუალოდ დაკავშირებულია ისეთ ღირებულებებთან, როგორიცაა სამართლიანობა, ჭეშმარიტება და თავისუფლება. მოსამართლეების მიმართ გამოყენებული ქცევის სტანდარტები გამომდინარეობს ამ ღირებულებებიდან და მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს (§8). ამასთან, საზოგადოებრივი ნდობა და პატივისცემა სასამართლო ხელისუფლებისადმი სასამართლო სისტემის მუშაობის ეფექტიანობის გარანტიებს წარმოადგენს, ცალსახად ნათელია, რომ სამოსამართლო ქცევა პროფესიულ სფეროში საზოგადოების წევრების მიერ განიხილება, როგორც სასამართლოების მიმართ ნდობის განუყოფელი ნაწილი (§22).

ევროპული სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის თანახმად, მიუკერძოებლობა გულისხმობს წინასწარ შექმნილი შეხედულებებისა თუ გავლენების არ ქონას და მე-6 მუხლის მიზნებისათვის იგი შემდეგი გარემოებების საფუძველზე დგინდება: სუბიექტური ტესტით, რომლის თანახმად ფასდება კონკრეტული მოსამართლის პირადი მოსაზრებები, ქცევა - გააჩნდა თუ არა მოსამართლეს მოცემული საქმის შედეგით პირადი დაინტერესება ან ჰქონდა თუ არა მას წინასწარ შექმნილი უარყოფითი დამოკიდებულება; და ობიექტური ტესტით, უზრუნველყოფილია თუ არა სასამართლო მიუკერძოებლობის თაობაზე, საფუძვლიანი ეჭვების გამომრიცხავი სათანადო გარანტიები (Fey v. Austria § 28 და 30; Wettstein v. Switzerland, §42). სადაც რთულია მოსამართლის სუბიექტური მიუკერძოებლობის შესახებ პრეზუმფციის საწინააღმდეგო მტკიცებულების მოპოვება, ობიექტური მიუკერძოებლობის მოთხოვნები მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს (Pullar v. the United Kingdom, §32).

საქმის დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად განხილვაში იგულისხმება არა მხოლოდ მისი დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად განხილვა, არამედ აღქმა იმისა (საზოგადოების, განსაკუთრებით მხარეთა მხრიდან), რომ საქმე სასამართლომ განიხილა დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად. მოსამართლის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა წარმოადგენს მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირების უმთავრეს პრინციპს და შესაბამისად, მოსამართლის უზენაეს ვალდებულებას.

აღსანიშნავია, რომ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ მოსამართლის მიუკერძოებლობა განმარტებულია, როგორც „მოსამართლის მიერ წინასწარ შექმნილი აზრის არ ქონა“. მოსამართლე საქმის განხილვისას, არა მხოლოდ უნდა იყოს მიუკერძოებელი, არამედ, გონიერი დამკვირვებლის თვალშიც უნდა აღიქმებოდეს ასეთად. შესაბამისად, ვინაიდან მართლმსაჯულების სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის განმტკიცება წარმოადგენს მართლმსაჯულების ლეგიტიმურობის გარანტიას, ნებისმიერი წინაღობა, რომელიც საფრთხეს უქმნის ამ რწმენას უნდა იქნეს გამორიცხული და ნებისმიერი მოსამართლე, რომელთან მიმართებითაც ვერ იქნება მიუკერძოებლობის აღქმა უზრუნველყოფილი, აცილებულ უნდა იქნეს საქმის განხილვისაგან. საქმეზე MORICE v. FRANCE სასამართლომ აქცენტი გააკეთა ობიექტურობის ტესტზე და განმარტა, რომ არ არსებობს მკაფიო გამიჯვნა სუბიექტურ და ობიექტურ მიუკერძოებლობას შორის, ვინაიდან მოსამართლის ქცევამ შეიძლება არა მხოლოდ გამოიწვიოს ობიექტური უნდობლობა მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით გარე დამკვირვებლის თვალში (ობიექტური ტესტი), არამედ შეიძლება შეეხოს მისი შინაგანი რწმენის საკითხს (სუბიექტურობის ტესტი). ნებისმიერი მოსამართლე, რომლის მიმართ არსებობს ლეგიტიმური მიზეზი ვივარაუდოთ, რომ ის არ არის სრულიად მიუკერძოებელი, უნდა ჩამოსცილდეს საქმეს .

ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს

მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიმართ აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა.

სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების 1.6 მუხლის თანახმად, მოსამართლემ უნდა გამოავლინოს და განავითაროს სამოსამართლო ქცევის მაღალი სტანდარტები, რათა გაამყაროს სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობა, რომელსაც აქვს ფუნდამენტური მნიშვნელობა სასამართლო დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად.

ამავე პრინციპების 4.1 მუხლის თანახმად, მოსამართლისთვის დაუშვებელია არაკორექტული ქცევა მის თანამდებობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედების განხორციელებისას, ხოლო ამავე პრინციპების 6.6 მუხლის თანახმად, მოსამართლემ უნდა შეინარჩუნოს წესრიგი და ეტიკეტი სასამართლოში მიმდინარე ყველა სხდომაზე, იყოს მომთმენი, ღირსეული და თავაზიანი მხარეების, მსაჯულთა, მოწმეების, ადვოკატების და სხვათა მიმართ, რომელთანაც უწევს ურთიერთობა ოფიციალური სტატუსით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 127-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მხარეებს უფლება აქვთ, სასამართლოს წინასწარი ნებართვის გარეშე დაუსვან შეკითხვები მოწინააღმდეგე მხარეს და მის წარმომადგენელს. სასამართლო ნებართვას იძლევა მხოლოდ შეკითხვების დასმის პროცედურის დაწყების თაობაზე. თუ შეკითხვა უადგილოა ან შეუფერებელია და არ ემსახურება საქმის გარემოებების გამოკვლევასა და დადგენას, სასამართლოს, მხარის თხოვნით ან თავისი ინიციატივით, შეუძლია მოხსნას ასეთი შეკითხვა.

საქმის მასალებისა და სხდომის ოქმის შესწავლის შედეგად მოსამართლის მიკერძოების, ისევე როგორც მხარეთათვის უპატივცემულოს მიმართვის ფაქტი არ გამოვლენილა. მართალია შეკითხვების ეტაპზე მოსამართლე რამდენიმეჯერ ჩაერია და შეაწყვეტინა მხარეს კითხვის დასმა, თუმცა მოსამართლის ქმედება მიმართული იყო საქმის გარემოებების მოკვლევისაკენ, ხოლო პროცესის წარმართვის უფლებამოსილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული პროცესის მნიშვნელობიდან გამომდინარეც.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2021 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრთაგან 10 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის

უმრავლესობა, მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75[12] მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №30/20 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი